თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი

6 ნოემბერი, 2026 წელი, 10:00

კონფერენცია

მუსიკა საზღვრების გარეშე: კვლევა, შემოქმედება, ინტერპრეტაცია

ეძღვნება
გამოჩენილი მუსიკოლოგის, პედაგოგისა და მეცნიერის,
პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის დაბადებიდან 90 წლისთავს

კონფერენციის პროგრამა და აბსტრაქტები

ორგანიზატორები:
კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის მუსიკის თეორიის მიმართულება
კვლევის კოორდინაციის დეპარტამენტი



პროფესორმა დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკოლოგიის განვითარებაში. მისი მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომები დღემდე წარმოადგენს მნიშვნელოვანი კვლევებისა და პროფესიული დიალოგის საფუძველს.

კონფერენცია პატივს მიაგებს გამოჩენილი მეცნიერის კვლევით და პედაგოგიურ მემკვიდრეობას. მისი მიზანია მუსიკოლოგიის, კომპოზიციის, საშემსრულებლო ხელოვნებისა და მუსიკალური კულტურის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო და შემოქმედებითი დისკუსიის წარმართვა პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო მემკვიდრეობისა და მის მიერ დამკვიდრებული აკადემიური ტრადიციის გაგრძელების კონტექსტში.

კონფერენციის პროგრამა

პირველი სესია

მოდერატორი: მარიკა ნადარეიშვილი

10:00 დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის ძირითადი ასპექტები
პროფ. მარიკა ნადარეიშვილი

10:20 დ. არუთინოვი-ჯინჭარაძე: სამეცნიერო ხელმძღვანელი – აკადემიური მემკვიდრეობა
ასოც. პროფ. მაია ტაბლიაშვილი

10:40 „შედგენილობა“ როგორც ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ფორმაქმნადობის მნიშვნელოვანი პრინციპი
პროფ. ლეილა მარუაშვილი

11:00 წინადადება თუ პერიოდი? სხვადასხვა თეორიული მოსაზრებები
ასოც. პროფ. რუსუდან თაბაგარი

11:20 დისკუსია

11:35-11:50 შესვენება

მეორე სესია

მოდერატორი: მაია სიგუა

11:50 მუსიკალური ერთიანობის მრავალდონიანი ორგანიზაცია ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში
პროფ. თამარ ჩხეიძე

12:10 პოლიფონია იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო შემოქმედებაში
შიო აბრახამია, PhD

12:30 Marcia funebre sulla morte d’un Eroe: გმირის მუსიკალური სახე ბეთჰოვენის №12 თხზ.26 საფორტეპიანო სონატაში
ასოც. პროფ. თამარ ჟვანია

12:50 გერმანული Lied-ის ტრადიციის ტრანსფორმაცია XX საუკუნის მუსიკაში (არიბერტ რაიმანის შემოქმედების მაგალითზე Neue Einfachheit-ის ესთეტიკის კონტექსტში)
ოვანეს ამბარცუმიანი, დოქტორანტი

13:10 დისკუსია

13:25-14.05 შესვენება

მესამე სესია

მოდერატორი: მაია ტაბლიაშვილი

14:05 ტრადიციის უწყვეტობა თუ მისი რემისია რუსულ საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში ბორის ასაფიევის პიროვნების მაგალითზე

სუსანა კასიანი, PhD

14:25 ტიპური და ინდივიდუალური ლუჩანო ბერიოს შემოქმედებაში

პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

14:45 „ჰეტეროქრონია“- ერთი პანდემიისდროინდელი საკომპოზიციო პროექტი

პროფ. რეზო კიკნაძე

15:05 დისკუსია

15:20-15:35 შესვენება

მეოთხე სესია

მოდერატორი: რუსუდან თაბაგარი

15:35 მულტი-ტოპოფონიკა, როგორც კონტრაპუნქტის სახეობა ხმოვან ეკოსისტემებში

ასოც. პროფ. ეკა ჭაბაშვილი

15:55 ზღაპრული ნარატივი როგორც მუსიკალური ინტერპრეტაციის ფორმა: ეკა ჭაბაშვილის „ფილოსოფიური ზღაპარი“

ასოც. პროფ. ნინო ჟვანია

16:15 მუსიკა, პირადი გამოცდილება და მეხსიერება

ასოც. პროფ. მაია (მაკა) ვირსალაძე

16:35 დისკუსია

16:50 - კონფერენციის შეჯამება

მოხსენებების აბსტრაქტები

მარიკა ნადარეიშვილი

პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის ძირითადი ასპექტები

მოხსენების მიზანია მეცნიერისა და პედაგოგის, დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებისა და თავისებურებების წარმოჩენა. მეცნიერის პროფესიული და შემოქმედებითი გზა პირობითად შეიძლება ორ მნიშვნელოვან პერიოდად - მოსკოვისა და თბილისის ეტაპებად - წარმოვადგინოთ. თითოეული მათგანი გამოირჩევა განსხვავებული ხანგრძლივობით, სამეცნიერო ინტერესებითა და ამოცანებით, თუმცა ორივე პერიოდს აერთიანებს კვლევისა და პედაგოგიკის ორგანული ურთიერთკავშირი.

მოსკოვის პერიოდში ჩამოყალიბდა მეცნიერის კვლევითი ინტერესები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კომპოზიტორთა შემოქმედებაში მუსიკალურ-თეორიული პრობლემების შესწავლას, მონოგრაფიული ნაშრომების შექმნას უკავშირდება. თბილისის პერიოდში დ. არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქართული პროფესიული მუსიკის კვლევა იქცა. ეროვნული მუსიკოლოგიისთვის განსაკუთრებით ფასდაუდებელია მეცნიერის აღნიშნული მიმართულებით შექმნილი შრომები. ამ კვლევებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დ. არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში და, ამავდროულად, ბუნებრივად აისახა მის პედაგოგიურ პრაქტიკაში. მკვლევრის სამეცნიერო მემკვიდრეობაში შეიძლება რამდენიმე მიმართულება გამოიყოს: მონოგრაფია, წიგნი-მიძღვნა პედაგოგებისადმი, სახელმძღვანელო, სტატია ენციკოლპედიისთვის /ლექსიკონისთვის/ შრომათა კრებულისთვის. გარდა ამისა, აღნიშნული იქნება მეცნიერის საქმიანობა სამეცნიერო კრებულების შემდგენლისა და რედაქტორის, რეცენზენტის რანგში, მისი სამეცნიერო-ორგანიზაციული გამოცდილება.

დ. არუთინოვ-ჯინჭარაძისთვის კვლევა და სწავლება ერთმანეთისგან გამიჯნული სფეროები არ ყოფილა: სამეცნიერო მუშაობით მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება სასწავლო პროცესში გარდაიქმნებოდა, ხოლო პედაგოგიური პრაქტიკა ახალი სამეცნიერო ინტერესებისა და საკითხების წარმოშობის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა. იგი პედაგოგობას განსაკუთრებული შემოქმედებითი ენერგიითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, რაც მის სტუდენტებთან ურთიერთობისა და ცოდნის გადაცემის სპეციფიკაშიც ვლინდებოდა.

დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის მრავალმხრივმა სამეცნიერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, განსაკუთრებით, ქართულ მუსიკოლოგიაში და შექმნა საფუძველი არაერთი პრობლემის შემდგომი კვლევისა და ახალი სამეცნიერო პერსპექტივების განვითარებისათვის.

მაია ტაბლიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

დევილ არუთინოვი-ჯინჭარაძე: სამეცნიერო ხელმძღვანელი – აკადემიური მემკვიდრეობა

მოხსენება ეძღვნება მუსიკისმცოდნის, მეცნიერისა და პედაგოგის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოღვაწეობის მნიშვნელოვან მიმართულებას - მის, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიურ მემკვიდრეობას. პროფესორ დ. არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო-პედაგოგიური ასპარეზი, ჯერ კიდევ მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში დაიწყო; შემდგომ კი სიცოცხლის ბოლომდე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაგრძელდა, სადაც მან არაერთი მუსიკოსი აღზარდა.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დ. არუთინოვ-ჯინჭარაძე კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის კათედრების პროფესორი გახლდათ; წლების მანძილზე, ძირითადად, პოლიფონიისა და მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის დისციპლინები მიჰყავდა კომპოზიტორებისა და მუსიკოლოგებისათვის; მისი ხელმძღვანელობით დაიწერა და დაცულ იქნა რიგი საკვალიფიკაციო ნაშრომები. სულ რაღაც ოცდახუთწლიან პერიოდში შესრულებულ იქნა ფაქტობრივად ამდენივე ნაშრომი, ინტენსივობის პიკით ორიათასიან წლებში. თავად საკვალიფიკაციო ნაშრომთა სპექტრი განსხვავებულია. ვხვდებით, როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ისე სადისერტაციო ნაშრომებს. მათში კვლევითი ინტერესები მეტწილად დაკავშირებულია პოლიფონიის საკითხებთან, მათ შორის ქართული პროფესიული მუსიკის, ეროვნული საკომპოზიტორო შემოქმედების მიმართულებით, ამავე დროს, რიგი ნაშრომების პრობლემატიკის არეალი სრულიად განსხვავებულ სურათს გვიხატავს.

აღნიშნული ბუნებრივად მომდინარეობს, მეცნიერისა და პედაგოგის კვლევით ინტერესებიდან, ფართო ხედვიდან და სტუდენტთა პოტენციალის გამოვლენის გასაოცარი უნარიდან. დ. არუთინოვ-ჯინჭარაძის გამოქვეყნებული სტატიებისა და საკონფერენციო მასალების, „პოლიფონიის პროგრამა-კონსპექტის“, ასევე „მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზისა“ და „პოლიფონიის თეორიისა და ისტორიის“ ლექციების გარდა, 2016 წელს გარდაცვალების შემდგომ გამოიცა მიკრონარკვევებისგან შემდგარი ნაშრომი „პოლიფონია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“, რომლის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენს ქრესტომათია „პოლიფონია ქართულ მუსიკაში“. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აღმოჩნდა კოლაბორაცია სამეცნიერო ხელმძღვანელობიდან პროფესიულ თანამშრომლობამდე.

ლეილა მარუაშვილი

პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

«შედგენილობა» როგორც ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ფორმაქმნადობის მნიშვნელოვანი პრინციპი

მოხსენებაში გაანალიზებულია შედგენილობა, რომელიც ბაროკოს ეპოქაში მუსიკალური ფორმების შექმნის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. იგი გულისხმობს ფორმის აგებას უკვე ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპოლოგიური კომპოზიციური მოდელების (პერიოდი, მარტივი ორ- და სამნაწილიანი ფორმები) თანმიმდევრული გაერთიანებით, რომლებიც ინარჩუნებენ შედარებით დამოუკიდებლობასა და მდგრადობას.

ბაროკოს ეპოქაში შედგენილობის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია სტილური პლურალიზმით, ჰომოფონიისა და პოლიფონიის თანაარსებობითა და კონტრასტის ესთეტიკური დომინანტობით. ანალიზი აჩვენებს, რომ ბაროკოს ხელოვნება ქმნის შედგენელი ფორმების მოდელებს, რომლებიც კლასიკურ-რომანტიკული ეპოქის სტრუქტურების წინამორბედებია.

კლასიფიკაცია მოიცავს სამ ძირითად ჯგუფს:

1. საკუთრივ შედგენილი (მრავალთემიანი) ფორმები — სამნაწილიანი და მრავალნაწილიანი da capo ფორმები ტრიოებით (ჰენდელისა და ბახის da capo არიები, აგრეთვე სიუიტების ცეკვები ტრიოთი);

2. კონტრასტულ-შედგენილი ფორმები — პოლიფონიური, ჰომოფონიური და შერეული ჰომოფონიურ-პოლიფონიური (კანცონები, პრელუდია და ფუგა, ფრანგული უვერტიურა, საორკესტრო სიუიტები);

3. შედგენილი რეფრენიანი ფორმები — ფრანგი კლავისინესტების რონდოები, სადაც ხშირ შემთხვევებში რეფრენის გამეორება ახალ ფუნქციას იძენს (კუპერენის და რამოს რონდოები).

ამგვარად, შედგენილობა ბაროკოს ფორმაქმნადობის სისტემაწარმომქმნელი პრინციპია.

აღნიშნული პრინციპის გააზრება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული კვლევისთვის,არამედ საშემსრულებლო პრაქტიკისათვისაც: ფორმაქმნადი საწყისების ურთიერთქმედების ცოდნა ხელს უწყობს ნაწარმოებების დრამატურგიისა და სტილისტიკის სიღრმისეულ გახსნას.

რუსუდან თაბაგარი

ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

წინადადება თუ პერიოდი? სხვადასხვა თეორიული მოსაზრებები

მუსიკისმცოდნეობაში თითქმის ყველა მოვლენას თეორიული დასაბუთება ახლავს თან. თუმცა, თეორიული დებულებები ყოველთვის არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან.

მოხსენებაში განიხილება ორი ერთმანეთთან ახლოს მყოფი ცნებები: „წინადადება“ და „პერიოდი“, ვინაიდან ორივე წარმოადგენს უმცირესი მუსიკალური ფორმის სტრუქტურული ორგანიზაციის აღწერის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. მუსიკალურ-თეორიულ პრაქტიკაში მათი ფართო გამოყენების მიუხედავად, აღნიშნული სტრუქტურების განსაზღვრება სხვადასხვა თეორიულ დებულებებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. შედარებით პრობლემურია ისეთი მუსიკალური ნიმუშების ანალიზი, რომლებშიც წინადადებისა და პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიშნები ერთდროულად ვლინდება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს წინადადებისა და პერიოდის შესახებ არსებული ძირითადი თეორიული მოსაზრებების შედარებითი ანალიზი და მათი განმასხვავებელი თუ საერთო ნიშნების გამოვლენა. აქედან გამომდინარე, მუსიკალური მაგალითების საფუძველზე, მოხსენებაში განხილული იქნება სხვადასხვა თეორეტიკოსთა (მათ შორის, ჰ. რიმანის, ა. შონბერგის, უ. კეპლინის და სხვ.) ანალიტიკური მიდგომები.

თამარ ჩხეიძე

პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

მუსიკალური ერთიანობის მრავალდონიანი ორგანიზაცია ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში

მოხსენებაში განხილულია მუსიკალური ერთიანობის ფორმირების პრინციპები ქართულ ლიტურგიკულ მუსიკაში სხვადასხვა სტრუქტურულ დონეზე. მუსიკალური ერთიანობა ლიტურგიკულ ტრადიციაში არ შემოიფარგლება ცალკეული საგალობლის სტრუქტურული მთლიანობით და ვლინდება ურთიერთდაკავშირებულ დონეებზე — ლიტურგიკული პერიოდის, ცალკეული მსახურების/მსახურებათა, საგალობელთა ციკლებისა და ცალკეული საგალობლების ფარგლებში. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მელოდიურ, სტრუქტურულ, ჟანრულ, ტექსტობრივ-თემატურ და დრამატურგიულ კავშირებს, რომელთა მეშვეობითაც მუსიკალური ერთიანობა ყალიბდება როგორც ცალკეულ დონეებზე, ისე მათ შორის.

ლიტურგიკული მუსიკის სხვადასხვა ორგანიზაციულ დონეზე — ციკლურ საგალობელში, ცალკეულ მსახურებასა და ვნების კვირის ლიტურგიკულ-მუსიკალურ ციკლში — გამოვლენილი კავშირების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება ერთიანობისა და მრავალფეროვნების ურთიერთქმედება, აგრეთვე განმეორების, ვარიირების, მელოდიური მოდელებისა და სტრუქტურული პარალელების როლი ციკლური მთლიანობის ჩამოყალიბებაში.

მოხსენების მიზანია მუსიკალური ერთიანობის მრავალდონიანი ორგანიზაციის მოდელის გამოკვეთა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა ლიტურგიკული მუსიკის სტრუქტურული და დრამატურგიული ანალიზისთვის.

შიო აბრახამია

მუსიკოლოგიის დოქტორი

პოლიფონია იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო შემოქმედებაში

მრავალხმიანი საგუნდო ხელოვნება ქართველი ერის მუსიკალური თვითგამოხატვის უმთავრესი ფორმა და აზროვნების ფუნდამენტური პრინციპია.

გუნდური შემსრულებლობა, განსაკუთრებით კი უთანხლებო (a cappella) საგუნდო სიმღერა, ქართული კულტურის იმანენტურ თავისებურებას წარმოადგენს, რომელშიც მრავალფეროვნად ვლინდება ტრადიციული პოლიფონიის კანონზომიერებანი.

ქართული ტრადიციული პოლიფონიური აზროვნების იდეალები და ფორმები შემოქმედებითად გარდასახული და განახლებულია XX-XXI საუკუნეების ეროვნულ პროფესიულ მუსიკაში. სწორედ ახალ პროფესიულ მუსიკაში, მისი ეროვნული საფუძვლების გათვალისწინებით, მკვლევართა ინტერესის სფეროს მუდმივად წარმოადგენს პოლიფონიური ფორმებისა თუ ხერხების ფუნქციონირების შესწავლა სხვადასხვა ჟანრში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მდიდარი მემკვიდრეობით აღბეჭდილ ახალ ქართულ პროფესიულ a cappella საგუნდო მუსიკაში პოლიფონიის საკითხი სპეციალური და სისტემური კვლევის საგანი დღემდე ნაკლებად გამხდარა. ამდენად, ქართული მრავალხმიანობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და ევროპული აზროვნების სინთეზის კვლევა პროფესიულ a cappella საგუნდო მუსიკაში - კერძოდ, ამ ჟანრის აღიარებული კლასიკოსის, იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებაში, განსაკუთრებულ აკადემიურ აქტუალობას იძენს.

კომპოზიტორის მემკვიდრეობაში პოლიფონიური აზროვნების სიღრმისეული განხილვა და თეორიული გააზრება ეროვნულ სამეცნიერო ლიტერატურაში, არ მომხდარა და მასზე მსჯელობას ჯერჯერობით, მხოლოდ ერთეულ სადიპლომო შრომებში ვხვდებით. ამრიგად, წარმოდგენილი მოხსენების კვლევის ობიექტს იოსებ კეჭაყმაძის a cappella საგუნდო მუსიკა, ხოლო კვლევის საგანს მასში რეალიზებული პოლიფონიური ფორმები, ტექნიკური ხერხები და ფაქტურული ორგანიზაციის პრინციპები წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებით ქართულ პროფესიულ a cappella საგუნდო ხელოვნებაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. საკვლევად შერჩეულ ნაწარმოებებზე ყურადღება გამახვილდა მათში გამოყენებული პოლიფონიური ხერხებისა და ფორმობრივი სტრუქტურების მრავალფეროვნების ნიშნით.

წინამდებარე მოხსენების მიზანია იოსებ კეჭაყმაძის a cappella გუნდებში არსებული პოლიფონიური კანონზომიერებების გამოვლენა და გაანალიზება ეროვნული ხალხური მრავალხმიანობისა და ევროპული პოლიფონიური ტრადიციების ურთიერთქმედების კონტექსტში.

თამარ ჟვანია

ასისტენტ პროფესორი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

Marcia funebre sulla morte d’un Eroe: გმირის მუსიკალური სახე ბეთჰოვენის №12 თხზ.26 საფორტეპიანო სონატაში

ბეთჰოვენის №12 საფორტეპიანო სონატა, თხზ. 26, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კომპოზიტორის ადრეული პერიოდის საფორტეპიანო შემოქმედებაში. სონატის მესამე ნაწილი - “Marcia funebre sulla morte d’un Eroe” („სამგლოვიარო მარში გმირის სიკვდილზე“) - ბეთჰოვენის მუსიკაში გმირის სახის გააზრების მნიშვნელოვან გამოვლინებად შეიძლება განვიხილოთ. მოხსენება ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ სამგლოვიარო მარშის მუსიკალურ სახეზე, არამედ სონატის მთლიან კომპოზიციურ კონცეფციაზე და, კერძოდ, მის პირველ ნაწილში სონატური ფორმის ნაცვლად ვარიაციული ფორმის არჩევანზე.

მოხსენებაში განხილული იქნება საკითხი, თუ რამდენად შეიძლება სონატის პირველი ნაწილის - “Andante con variazioni”-ის - ვარიაციული ფორმა დაკავშირებული იყოს სონატის ცენტრალურ იდეასთან და გმირის სახის ბეთჰოვენისეულ გააზრებასთან.

კლასიკური სონატის ტრადიციასთან მიმართებით ფორმის ეს არჩევანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ თვალსაზრისით, “Marcia funebre sulla morte d’un Eroe” განიხილება არა როგორც სონატის ერთ-ერთი, არამედ როგორც ნაწარმოების საერთო კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ყურადღება დაეთმობა თემისა და ვარიაციების ურთიერთმიმართებას, მესამე ნაწილის ტრაგიკულ-გმირულ პათოსს და იმ ისტორიულ-ესთეტიკურ კონტექსტს, რომელშიც ბეთჰოვენის „გმირი“ ყალიბდება. ასევე იქნება შეხება სიმფონია “Eroica”-სთან, როგორც ბეთჰოვენის შემოქმედებაში გმირის თემის შემდგომ განვითარებასთან.

მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს, რომ სონატის ფორმის არატრადიციული არჩევანი და გმირის სიკვდილისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მარში შეიძლება განვიხილოთ ერთი მუსიკალური და მხატვრულ-იდეური კონცეფციის ფარგლებში.

ოვანეს ამბარცუმიანი

დოქტორანტი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

გერმანული Lied-ის ტრადიციის ტრანსფორმაცია XX საუკუნის მუსიკაში (არიბერტ რაიმანის შემოქმედების მაგალითზე Neue Einfachheit-ის ესთეტიკის კონტექსტში)

XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული გერმანული Lied-ი XX საუკუნის მეორე ნახევარშიც აგრძელებს არსებობას და თანამედროვე მუსიკალური ენის პირობებში ამ ტრადიციის შენარჩუნება და განახლება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. წინამდებარე კვლევის ობიექტს წარმოადგენს არიბერტ რაიმანის ვოკალური შემოქმედება, რომელიც განიხილება გერმანული Lied-ის ტრადიციისა და XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული Neue Einfachheit-ის ესთეტიკის კონტექსტის ურთიერთმიმართების ჭრილში. კვლევის მიზანია XIX საუკუნის რომანტიკული Lied-ისთვის დამახასიათებელი მხატვრული და მუსიკალურ-გამომსახველობითი პრინციპების რაიმანის ვოკალურ შემოქმედებაში გამოვლენა, მათი ტრანსფორმაციისა და ახლებური გააზრების წარმოჩენა. კვლევის ამოცანაა რაიმანის ვოკალური პრინციპების განსაზღვრა, განსაკუთრებით ტექსტისა და მუსიკის ურთიერთმიმართების (Wort-Ton-Verhältnis), ვოკალური დეკლამაციის, ინტონაციური ორგანიზაციის, აკომპანიმენტის ფუნქციის, ფორმისა და დრამატურგიის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპოზიტორის მოსაზრებებს XX საუკუნეში Lied-ის კრიზისის შესახებ და ტრადიციული Kunstlied-ის თანამედროვე მუსიკალურ კონტექსტში გადაფასების საკითხს. კვლევა დაფუძნებულია მუსიკალურ-ანალიტიკურ, კომპარატიულ და ისტორიულ-სტილისტური ანალიზის მეთოდებზე.

სუსანა კასიანი

მეცნიერ-თანამშრომელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

IreMus/Paris-Sorbonne

ტრადიციის უწყვეტობა თუ მისი რემისია რუსულ-საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში ბორის ასაფიევის პიროვნების მაგალითზე

„ტრადიციის“ ცნება (ლათ. traditio „გადმოცემა“, „მემკვიდრეობა“) გულისხმობს ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების გადაცემის პროცესს და წარმოადგენს საზოგადოების ფუნდამენტური და საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბების საფუძველს. მ. ეპშტეინი ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლას ალტერნატიული მეთოდოლოგიების — კონცეპტივიზმისა და დეკონსტრუქციის — პერსპექტივიდან გვთავაზობს. ამ მიდგომებში ტრადიციისადმი ორი დამოკიდებულება — მისი უწყვეტობა და რემისია — თავისებურ განვითარებას იძენს. ზემოაღნიშნული პერსპექტივიდან განიხილება წინამდებარე ნაშრომში ასაფიევის დამოკიდებულება რუსეთის კულტურულ მემკვიდრეობასთან XX საუკუნის პირველი ათწლეულების განმავლობაში მისი მუსიკალურ-პუბლიცისტური სტატიების მაგალითზე, აგრეთვე, პოსტსაბჭოთა პერიოდში მისი შემოქმედებისადმი დამოკიდებულება ვ. ხოლოპოვას, მ. რაკუსა და ლ. ბერეზოვჩუკის ნაშრომებში.

ასაფიევი ეწინააღმდეგება ტრადიციებისადმი კონსერვატიულ დამოკიდებულებას და მათ ერთგვარ ხელშეუვალ სიწმინდედ ქცევას. იგი აკრიტიკებს აკადემიზმს, დოგმატიზმს, დილეტანტიზმსა და ესთეტიზმს — იმ „მაცდურ ნიღბებს“, რომელთა მიღმაც ტრადიციაზე მაღალი მსჯელობები იმალება. ასაფიევისთვის ტრადიცია ცოცხალი მოვლენაა და მრავალფეროვანი მიდგომებით ხასიათდება. აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ სწავლებისა და შემოქმედების, ანუ კომპოზიციის, პროცესები. სასწავლებლებმა და კონსერვატორიებმა უნდა აღზარდონ ნაწარმოებების შემეცნებისა და გაგების უნარი; ეს ნაწარმოებები კულტურულ ფონდს ქმნის და ცოდნის გადაცემისას ტრადიციის უწყვეტობას ეყრდნობა. კომპოზიტორმა კი თავისი შემოქმედებით უნდა უპასუხოს დროის გამოწვევებსა და თანამედროვე ცხოვრების კითხვებს. მის შემოქმედებაში ტრადიცია ახალ სახეებსა და ცნებებში ვითარდება. ტრადიციის გადაცემისა და მისი შემოქმედებითი გარდაქმნის ეს ორი პროცესი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდს, ასაფიევის მემკვიდრეობამ საბჭოთა წარსულისადმი ორმაგი დამოკიდებულების საერთო ბედი გაიზიარა. ერთი მხრივ, ვითარდება უწყვეტობის ხაზი, მაგალითად, ვ. ხოლოპოვას ნაშრომებში. მეორე მხრივ, ვლინდება კრიტიკულ-ნეგატიური, უფრო მეტიც, მიუღებლობისკენ მიდრეკილი დამოკიდებულება ასაფიევის მემკვიდრეობისადმი, როგორც საბჭოთა მუსიკისმცოდნეობითი სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლისა. რაკუსა და ბერეზოვჩუკის ნაშრომებში მკაფიოდ ვლინდება დეკონსტრუქციის მეთოდოლოგია, როდესაც ასაფიევის ტექსტს „თავს ახვევენ“ ისეთ შინაარსს, რომელიც მისი თავდაპირველი ჩანაფიქრის საპირისპიროა.

ქეთევან ბოლაშვილი

პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ტიპური და ინდივიდუალური ლუჩანო ბერიოს შემოქმედებაში

XX საუკუნის მეორე ნახევრის მუსიკალურ ხელოვნებაში, ავანგარდის ესთეტიკის ბატონობის პერიოდში, საკომპოზიტორო შემოქმედებაში დომინირებს მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალიზმი. ესაა თვისება, რომელიც გამოარჩევს ავანგარდისტ კომპოზიტორების სხვა ეპოქების წარმომადგენელთაგან. ამასთან, ტოტალური ინდივიდუალიზმის პარალელურად, ცალკეული კომპოზიტორების მხატვრულ აზროვნებაში თავს იჩენს ტრადიციის გარდასახვა. ასეთი ავანგარდისტი კომპოზიტორების რიგს მიეკუთვნება ლუჩანო ბერიო, რომლის შემოქმედების ძირითად ვექტორს სწორედ ტრადიციის ახლებური გააზრება განსაზღვრავს. ბერიოს ამგვარი შემოქმედებითი პოზიციის დამადასტურებელია მისი რამდენიმე საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოების სახელწოდებაში ტრადიციული ჟანრის, ან ტიპური თვისებების გამოტანა (იგულისხმება, სიმფონია Sinfonia, ოპერა Opera, გუნდი Coro, Sequenzes). ამასთან, ბერიოს შემოქმედებაში ვხვდებით არა ტრადიციული ჟანრების რეკონსტრუირებას, ან მოდელირებას, არამედ მათ პრინციპულ განახლებას, რაც ტრადიციის და სიახლის, ანუ ტიპურის და ინდივიდუალურის ორგანული შერწყმითაა მიღწეული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბერიოს ინტერესი ფოლკლორის მიმართ, რაც უნიკალური მოვლენაა ავანგარდისტი კომპოზიტორებისთვის.

ბერიოს შემოქმედებითი პოზიცია, ზემოთ აღნიშნული თავისებურებიდან გამომდინარე, შორდება „კლასიკური ავანგარდის“ სწრაფვას სტილის სიწმინდისკენ, რადგან მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია პუბლიკასთან კომუნიკაცია, ავანგარდის სოციალური იზოლირების დაძლევა.

რეზო კიკნაძე

მოწვეული მასწავლებელი / პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია / ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ჰეტეროქრონია“ - ერთი პანდემიისდროინდელი საკომპოზიციო პროექტი

COVID-პანდემიამ, მთელ თავის საშინელებასთან ერთად, უპრეცედენტო, მანამდე განუცდელი შოკი მოჰგვარა საშემსრულებლო ხელოვნების ჩვეულ პრაქტიკას ყოველ სფეროში, მათ შორის მუსიკაში, როცა ერთი ხელის მოსმით დაბლოკა ცოცხალი მუზიცირება, ცოცხალი მსმენელის წინაშეც და ყოველგვარ ფიზიკურ სარეპეტიციო თუ სასწავლო სივრცეშიც.

მუსიკის ტექნოლოგიამ, ამგვარი შოკისთვის ასევე ცუდად მომზადებულმა, დაუყოვნებლივ მიმართა საკომპენსაციო ძალისხმევას, როგორიც იყო, მაგალითად, ე. წ. "ასინქრონული" პროდუქციის მეთოდიკის განვითარება, აუდიოვიზუალური ინტერნეტ-ლაივსტრიმის ტექნიკური დახვეწა და მსგავსი მცდელობები და სულ მალე, პანდემიის პირველივე კვირებშივე, ინტერნეტ-პლატფორმები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მარკეტინგული ინნოვაციებით აკადემიური თუ შემოქმედებითი სფეროების სწრაფად უზრუნველსაყოფად.

ამასობაში კი მუსიკოსთა უმრავლესობისთვის უზარმაზარ სტრესად რჩებოდა ფუნდამენტური სამუსიკო პრაქტიკის - ერთობლივი მუზიცირების - მწვავე დეფიციტი, რომესლაც ინტერნეტის ასევე ფუნდამენტური ტექნიკური პრობლემა ედო საფუძვლად: ლატენცია, ანუ დაყოვნება, მონაცემთა პაკეტური გადაცემის თანმდევი მოვლენა, რომლის შემცირება უსწრაფესი (და უძვირესი!) ტექნოლოგიური პლატფორმების მეშვეობითაც კი ვერ ხერხდება ჯეროვან და მუსიკალურად ყოველმხრივ მისაღებ დონეზე, არათუ საყოფაცხოვრებო ინტერნეტის პირობებში.

საკომპოზიციო პროექტ "ჰეტეროქრონიაში" ეს შეუძლებლობა არა დაბრკოლებად, არამედ ამოსავალ ესთეტიკურ კონცფციად განიხილება. მუსიკოსები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულნი და ZOOM-კონფერენციაში ჩართულნი, ლაივ-გადაცემის რეჟიმში, "ერთდროულად" უკრავენ, "ერთიდაიგივესაც" კი, მაგრამ სინქრონიის უქონლობა, როგორც დროის დაუძლეველი სხვადასხვაობა, დროის ინდივიდუალური აღქმის (და ორგანიზების) საკითხად იქცევა.

პარტიტურა ეფუძნება ისტორიული soggetto cavato-ტექნიკას, ცოტა უფრო განვრცობილს, რომლის მიხედვითაც სახელების ასოები ნოტებად და პაუზებად ითარგმნება. ამ გზით მიღებული მუსიკალური სტრუქტურები სივრცითი ნოტაციის სახით მოჩანს შემსრულებელთა ეკრანებზე და თითოეული შემსრულებლის ინდივიდუალური ინტერპრეტაციით (რეგისტრის, ტემპის, მიმართულებისა და არტიკულაციის მხრივ). აუდიტორიას - ამ სტრიმის მსმენელებს და მაყურებლებს, შინ, თავისი კომპიუტერუდან შეუძლიათ თავ-თავისი სახელ-გვარებისა ან სხვა ტექსტის შეყვანა, სპეციალურად ამ ნაწარმოებისთვის განკუთვნილ გვერდზე, რომ ეკრანებზე ნოტებად ქცეული იხილონ და შემსრულებელთა მიერ აჟღერებული ისმინონ.

ეკა ჭაბაშვილი

ასოცირებული პროფესორი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

მულტი-ტოპოფონიკა, როგორც კონტრაპუნქტის სახეობა ხმოვან ეკოსისტემებში

მულტი-ტოპოფონიური საკომპოზიციო ტექნიკით შექმნილი მუსიკა ეკოცენტრული ესთეტიკის პრინციპებს ეყრდნობა. მულტი-ტოპოფონიური საკომპოზიციო ტექნიკის ფარგლებში შესაძლებელია გაერთიანდეს განსხვავებული მუსიკალური აზროვნების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი მუსიკალური ფორმაცია; შესაბამისად, ერთ ნაწარმოებში მათი თანაარსებობისთვის საჭიროა თავისუფალი ნებელობის ჩართულობა, რათა ყოველი მათგანისთვის არსებობდეს დამოუკიდებელი ტოპო-სივრცითი მიკროგარემო საკუთარი დროითი პულსარის ხაზით, სწორედ ეს ქმნის ხმოვანების გლობალურ ეკოსისტემას.

ამგვარად, მულტიტოპოფონიური კომპოზიციისთვის დამახასიათებელია თავისუფალი ბუნება, რაც ერთმანეთთან თავსებადს ქმნის განსხვავებულ მუსიკალურ სისტემებსა და საკომპოზიციო ტექნიკებს. ზემოთ ხსენებული ტექნიკის პოლიფონიური ბუნება სწორედ ამ ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ, სადაც კონტრაპუნქტის მთავარი პრინციპი განპირობებულია მუსიკალური დროისა და სივრცის მრავალპლანიანობითა და მრავალსახეობით. მულტი-ტოპოფონიკა - ესაა საკომპოზიტორო ტექნიკა, სადაც მუსიკალური ფაქტურის პრიორიტეტს წარმოადგენს "დინამიკის" ცვალებადობა აკუსტიკურ გარემოში, რომლის მეშვეობით ხდება მიკრო- და ფსიქო-დროის აქტივაცია ანუ ტემბრულ-რიტმული ინტენსივობის დომინირება ასტროლოგიური დროის განსაზღვრულ ფაზებში; სწორედ ეს განსაზღვრავს ხმათა დაშრევების პრინციპს და დამოკიდებულია ხმის წყაროს ლოკაციაზე ანუ "ტოპო"; აქ "ლოკაცია" წარმოდგენილია, როგორც ხმოვანი წყაროს მდებარეობით, ასევე მისთვის ინდივიდუალური მუსიკალური დროისა და სივრცის ფაქტორის განსაზღვრით და მოძრაობით საერთო ჟღერად სივრცეში. ამგვარად, მულტი (მრავალი) "ტოპო" (ლოკაციის) ფონი (ხმოვანება) განისაზღვრება, არა მარტო ხმის წყაროს ფიზიკური მდებარეობის ნიშნულით, არამედ ტემბრულ-სიხშირული ინტენსივობითა და რიტმული აქტიურობით.

ხსენებული ტექნიკა ხმოვანი ეკოსისტემებისთვის ხმათაგანაწილების ყველაზე დამახასიათებელი სახეობაა, სადაც კონტრაპუნქტის მნიშვნელოვან ფაქტორს ქმნის მიკრო- და ფსიქო- დროების ურთიერთქმედება მრავალ სივრცულ განაწილებაში რითაც საბოლოოდ იქმნება ერთიან აკუსტიკურ გაარემოში აჟღერებული მუსიკალური ფაქტურა. მულტიტოპოფონიური კონტრაპუნქტი ჰეტეროფონიისგან განსხვავებით, არა თითო ხმის დაშრევებით მიიღწევა, არამედ ხმათა კომპლექსური "ინტონაციური სივრცეებით" წარმოქმნილი "აკუსტიკური კუნძულების" მეშვეობით.

მოხსენების მიზანია ეკომუსიკის ნიმუშების მაგალითზე მიმოიხილოს ის მუსიკალური სტრუქტურები, რაც მულტიტოპოფონიური კონტრაპუნქტის სახეობას ქმნის.

ნინო ჟვანია

ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ეკა ჭაბაშვილის „ფილოსოფიური ზღაპარი“

ზღაპარი, როგორც კულტურული და მხატვრული ფენომენი, მრავალგვარი მუსიკალური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის. იგი შეიძლება იქცეს სიუჟეტურ საფუძვლად, სიმბოლურ მოდელად, დრამატურგიულ პრინციპად ან იმგვარ ნარატიულ ფორმად, რომლის მეშვეობითაც მუსიკალური იდეა დამატებით მნიშვნელობებს იძენს. მოხსენება განიხილავს ზღაპრული ნარატივის ერთ-ერთ არატრადიციულ გამოყენებას ეკა ჭაბაშვილის „ფილოსოფიურ ზღაპარში“, რომელიც პერფორმანსს „ფორტეპიანოს აპოკალიფსი, ანუ Has Piano Music Come to an End?“ უძღვის წინ.

ეს ტექსტი შეიქმნა მხატვრული კვლევის პროექტის ფარგლებში და ფორტეპიანოს ისტორიას წარმოგვიდგენს არა დოკუმენტური ქრონოლოგიის, არამედ მეტაფორული, ალეგორიული და პირობითი ნარატივის სახით. ფორტეპიანო აქ მხოლოდ ისტორიული პროცესის ობიექტი აღარ არის: იგი პერსონიფიცირდება, იძენს საკუთარ „ბიოგრაფიას“ და ზღაპრის პერსონაჟის მსგავსად გადის განვითარების, გარდაქმნისა და კრიზისის გზას.

ამგვარი მიდგომა შესაძლებელს ხდის ისტორიული და მუსიკოლოგიური მასალის გადატანას მხატვრულ სივრცეში, სადაც ფაქტი და ფანტაზია, კვლევა და გამონაგონი ერთმანეთთან ორგანულად ურთიერთქმედებს.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნება ზღაპრული ნარატივი მუსიკალური ინტერპრეტაციის ფორმად და როგორ ქმნის იგი შემდგომი პერფორმანსის აღქმის კონცეპტუალურ ჩარჩოს. განხილული იქნება ზღაპრის ისეთი ნიშნები, როგორიცაა პერსონიფიკაცია, პირობითობა, მეტაფორა, ტრანსფორმაციის მოტივი და ღია დასასრული. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ტექსტსა და მუსიკალურ მოქმედებას შორის კავშირს: ზღაპარი აქ არა მხოლოდ წინასიტყვაობაა, არამედ ის მსმენელს სთავაზობს აღქმის განსაკუთრებულ კოდს, რომლის საშუალებითაც შემდგომი მუსიკალური პროცესიც ახალი მნიშვნელობებით იკითხება. ამგვარად, ნარატივი, მუსიკა და მისი შესრულება ერთიან კონცეპტუალურ მთლიანობას ქმნის.

ეკა ჭაბაშვილის „ფილოსოფიური ზღაპარი“ გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მუსიკალურ პრაქტიკაში ზღაპარი შეიძლება გასცდეს ტრადიციული სიუჟეტის ფუნქციას და იქცეს რეფლექსიის, ინტერპრეტაციისა და მხატვრული კვლევის აქტიურ ინსტრუმენტად. ამ მაგალითზე შესაძლებელი ხდება ზღაპრის თანამედროვე მუსიკალური ინტერპრეტაციის უფრო ფართო პრობლემის დანახვაც: როგორ ინარჩუნებს ზღაპარი თავის არქეტიპულ ბუნებას და, ამავე დროს, ახალ ფუნქციას იძენს ინტერდისციპლინურ, კვლევით და ინტერპრეტაციულ გარემოში.

მაია (მაკა) ვირსალაძე

ასოცირებული პროფესორი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

მუსიკა, პირადი გამოცდილება და მეხსიერება

მუსიკალური ბგერა ადამიანის გამოცდილებაში მხოლოდ აკუსტიკურ მოვლენად არ რჩება. ზოგჯერ კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოები ან ბგერითი ფრაგმენტი შეიძლება დაკავშირებული აღმოჩნდეს ადამიანთან, ადგილთან, მოვლენასთან ან ცხოვრების გარკვეულ პერიოდთან და ამ გზით პირადი მნიშვნელობა შეიძინოს. ამასთან, ერთი და იგივე მუსიკამ სხვადასხვა მსმენელში შეიძლება სრულიად განსხვავებული ასოციაციები და მოგონებები გამოიწვიოს. რა განსაზღვრავს ამ განსხვავებას და რა ხდის მუსიკალურ გამოცდილებას პირად მნიშვნელობის მატარებლად?

მოხსენება განიხილავს მუსიკის, პირადი გამოცდილებისა და ავტობიოგრაფიული მეხსიერების ურთიერთმიმართებას. ყურადღება დაეთმობა მუსიკით გამოწვეული ავტობიოგრაფიული მოგონებების შესახებ არსებულ კვლევებს, განსაკუთრებით მუსიკის ნაცნობობის, ემოციური გამოცდილების, პირადი მნიშვნელობისა და ინდივიდუალური განსხვავებების საკითხებს. ამ კვლევების საფუძველზე დაისმება კითხვა, რამდენად არის მუსიკით გამოწვეული მოგონების ხასიათი დაკავშირებული თავად მუსიკის თვისებებთან და რამდენად — მსმენელის წინარე გამოცდილებასთან.

მოხსენებაში ასევე განხილული იქნება მუსიკისა და სხვა ტიპის სტიმულებით — მაგალითად, ვიზუალური, ვერბალური ან არამუსიკალური ბგერითი სტიმულებით — გამოწვეული პირადი მოგონებების ურთიერთმიმართება. საინტერესოა, არის თუ არა მუსიკით გამოწვეული მოგონება თავისი ბუნებით განსხვავებული სხვა სტიმულებით გამოწვეული მოგონებისგან, თუ განსხვავება ძირითადად კონკრეტული ადამიანის გამოცდილებით განისაზღვრება.

ამ საკითხების განხილვა საშუალებას გვაძლევს მუსიკა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ორგანიზებული ბგერითი მასალა, არამედ როგორც გამოცდილება, რომელიც სხვადასხვა მსმენელისთვის განსხვავებულ პირად მნიშვნელობას იძენს და შეიძლება მეხსიერებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული ასოციაციების მატარებელი გახდეს.

ორგანიზატორები განსაკუთრებულ მადლობას უხდიან

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკას მხარდაჭერისთვის.